შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“

დირექტორს ბატონ ჯ. ჯ.-ს

რეკომენდაცია

თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოში სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლის და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ბატონო ჯ.,

2015 წლის 27 მაისს, მოქალაქე გ. გ.-მ (შემდგომში მომჩივანი) მომართა საქართველოს სახალხო დამცველს მის მიმართ სქესის ნიშნით განხორციელებულ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე.

მომჩივანის თქმით, 24 აპრილს, მისი არასრულწლოვანი შვილი ნ. გ. გადაიყვანეს თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოში მწვავე ინფექციური დაავადებითა და მაღალი ტემპერატურით. მომჩივანს სურდა 15:00-00:00 დროის პერიოდში შვილთან თავდგმურად დარჩენა, რაზეც რესპირატორული ვირუსული ინფექციების განყოფილების (შემდგომში პირველი განყოფილება) გამგემ უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ აღნიშნულის უფლება მხოლოდ დედას და ბებიას ეძლევა, ხოლო მამაკაცები არ არიან დაშვებულნი თავმდგმურებად.

საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოდან.

1. ფაქტობრივი გარემოებები

მომჩივანი მიუთითებს, რომ 24 აპრილს მისი შვილი ნ. გ. მწვავე ინფექციური დაავადებითა და მაღალი ტემპერატურით, სასწრაფო სამედიცინო დახმარებამ, გადაიყვანა თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოში. 15:00-00:00

საათებში მომჩივანს სურდა შვილთან დარჩენა, ვინაიდან ბავშვის დედა ამ პერიოდში მუშაობდა, ხოლო 00:00 საათის შემდეგ კი დედა დარჩებოდა ბავშვთან. აღნიშნულ თხოვნაზე მომჩივანმა კატეგორიული უარი მიიღო პირველი განყოფილების გამგისაგან, რომელმაც განუცხადა, რომ არ დაუშვებდა მამის დარჩენას პალატაში და დაცვის თანამშრომელმა ის გარეთ გამოაძევა. მომხდარის გამო, ბავშვის დედა იძულებული გახდა სამუშაო საათებში დარჩენილიყო შვილთან.

საქმის დეტალების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტისა და ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრის თანამშრომლებმა გამოკითხეს ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი - ბატონი ჯ. ჯ. დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში - ქალბატონი ნ. გ., პირველი განყოფილების გამგე - ბატონი გ. კ., ასევე მეორე და მესამე განყოფილების გამგეები, საავადმყოფოში არსებული მდგომარეობის გარკვევის მიზნით.

საავადმყოფოს დირექტორის განმარტებით, ის საქმის კურსში იყო 24 აპრილს მომხდარი ინციდენტის შესახებ და ამის გამო ზეპირი საყვედური გამოეცხადა, პირველი განყოფილების გამგეს, გ. კ.-ს. იგივე არის აღნიშნული საავადმყოფოს მიერ 2015 წლის 29 ივნისის წერილში, რომლის თანახმადაც ინციდენტი გამოწვეული იყო პაციენტთან მამის დარჩენაზე განყოფილების გამგის მიერ უარის თქმით.

დირექტორის მოადგილის, ქალბატონი ნ. გ.-ის განცხადებით, ის ესაუბრა მომჩივანს 25 აპრილს დილით და მომჩივანი დაუშვეს ბავშვთან პალატაში. მან ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან ძირითადად დედები რჩებიან ბავშვებთან პალატაში, მამაკაცების დარჩენით შესაძლოა უხერხული სიტუაცია შეიქმნას, რადგან მხოლოდ ერთი საპირფარეშო არის გათვალისწინებული 20 პაციენტისათვის. მან ასევე განაცხადა, რომ თუკი დედას არ შეუძლია ბავშვთან დარჩენა, გამონაკლის შემთხვევებში, დაშვებულია პაციენტთან მამის დარჩენა.

პირველი განყოფილების გამგის გ.კ.-ის განცხადებით, მომჩივანის შვილი, ერთადგილიან, იზოლირებულ პალატაში იყო განთავსებული. აღნიშნულ განყოფილებაში არის 8 პალატა და 3 სველი წერტილი – 2 სველი წერტილი პაციენტთა და მშობელთათვის, ხოლო 1 სველი წერტილი თანამშრომლებისათვის. ბატონი გ.-ის განცხადებით, ის კატეგორიულად არ დაუშვებს განყოფილებაში მამაკაცებს თავმდგმურად, ვინაიდან შესაძლოა მამაკაცი ნასვამ მდგომარეობაში მოვიდეს და თუ დედას არ შუძლია ბავშვთან დარჩენა, სთხოვენ, რომ თავმდგმურად მოიყვანონ მდედრობითი სქესის სხვა წარმომადგენელი. მისივე თქმით, მსგავსი

რეგულირება არ არის საავადმყოფოს რომელიმე დოკუმენტში და ის პირადი შეხედულებისამებრ მოქმედებს.

აღსანიშნავია, რომ მამის თავმდგმურად დაშვების საკითხისადმი ხისტი მიდგომა არ აქვთ მესამე განყოფილებაში, სადაც 18 პალატა და 9 სველი წერტილი არის, აქედან 1 სველი წერტილი განკუთვნილია თანამშრომელთათვის. გამგის განცხადებით, მათთან ნებადართულია მამაკაცთა დარჩენა პაციენტთან.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი

შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც. ევროპის სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის ქვეშ, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე.ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[1]

2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე–16 მუხლი, რომელიც თავისუფალი განვითარების უფლებას იცავს, ასევე მოიცავს ოჯახურ ურთიერთობებს, ისევე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების

[1] Eweida and others v. United Kingdom, application nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; Burden v. United Kingdom, application no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60;

ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად.[2]

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვეციის მე-8 მუხლის თანახმად ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას. ევროპული სასამართლოს განმარტებით დაქორწინებულ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას და ექცევა მე-8 მუხლით დაცულ სფეროში.[3]

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვეციის მე-7 ოქმის მე-5 მუხლი აღიარებს მშობელთა თანასწორობას შვილებთან ურთიერთობაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის თანახმად მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის.

იმავე კოდექსის 1197-ე მუხლი კი აღიარებს შვილების მიმართ მშობელთა თანასწორუფლებიანობას და აცხადებს, რომ მშობლებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აკისრიათ შვილებთან ურთიერთობაში.

განსახილველ შემთხვევაში, მომჩივანის უფლება ეზრუნა შვილის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური განვითარებისთვის, მისი მეუღლის თანასწორად, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, კონვენციის მე-7 ოქმის მე-5 მუხლითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე და 1198-ე მუხლებით.

2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება #1/2/458,II. პ.21.
[3] Berrehab v The Netherlands, Application no.: 10730/84, 21/06/1988, § 21.

უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში.[4]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.[5] ანალოგიურ პოზიციაში ყოფნა, არ გულისხმობს, რომ შესადარებელი ჯგუფები იდენტურნი უნდა იყვნენ.[6]

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-5 მუხლი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე და 1198-ე მუხლები აღიარებენ მშობელთა თანასწორუფლებიანობას შვილებთან დამოკიდებულებაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით განმტკიცებულია მშობლების თანაბრობის პრინციპი ბავშვის მიმართ და არც ერთ მშობელს არა აქვს უპირატესობა ბავშვის მიმართ უფლება-ვალდებულებების განხორციელებაზე.[7]

თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს პირველ განყოფილებაში არსებული პრაქტიკის თანახმად, დედას ან სხვა მდედრობითი სქესის წარმომადგენელს უფლება აქვს თავმდგმურად დაუდგეს ბავშვს, ხოლო მამას არა. აღნიშნულის გამო, მამრობითი სქესის წარმომადგენლები არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი მათი სქესის გამო.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთებულობის საკითხი

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კანონის შესაბამისად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, მას აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის თანაზომიერია.

---

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2;

[5] D.H. and Others v. the Czech Republic [GC], Application no. 57325/00, 13/11/2007, § 175;

[6] Clift v United Kingdom, Application no.: 7205/07, 22/11/2010, § 66;

[7] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება , # ას-1062-996-2012;

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგჯერ, შესაძლოა ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, უპირეტესობა მიენიჭოს რომელიმე მშობელს, თუმცა მსგავსი განსხვავება არ შეიძლება გამართლდეს, თუკი მას საფუძვლად უდევს მშობლის რაიმე მახასიათებელი ან კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილება.[8]

განსახილველ შემთხვევაში, მომჩივანს უარი უთხრეს თავმდგმურად დარჩენაზე მისი სქესის გამო. სქესის ნიშნით განსხვავებისას, კი უნდა არსებობდეს საკმაოდ წონადი მიზეზი იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს განსხვავებული მოპყრობის გამართლება.[9]

პირველი განყოფილების გამგის განმარტებიდან გამომდინარე, განსხვავებული მოპყრობა მიზნად ისახავდა წესრიგისა და პაციენტთა უსაფრთხოების დაცვას. აღნიშნული მიზანი შესაძლებელია, რომ ლეგიტიმურ მიზნად იქნეს მიჩნეული. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის მიღწევის პროპორციული იყოს.

მომჩივანისთვის, შვილთან თავმდგმურად დარჩენაზე უარი, ეფუძნებოდა არა მომჩივანის ინდივიდუალური ქცევისაგან გამოწვეულ საშიშროებას, წესრიგისა და პაციენტთა უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, არამედ პირველ განყოფილებაში არსებულ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც მამაკაცებს არ აქვთ უფლება შვილთან თავმდგმურად დარჩნენ პალატაში, გარდა მნახველთათვის დაწესებული საათებისა. აღნიშნული პრაქტიკის არსებობას გამგე მამაკაცის ნასვამ მდგომარეობაში მისვლის საფრთხით ხსნის, ხოლო საავადმყოფოს დირექტორის მოადგილე კი აღნიშნავს, რომ მამაკაცთა დარჩენამ შესაძლოა უხერხული სიტუაცია შექმნას განყოფილებაში, ვინაიდან ბავშვებთან ძირითადად დედები რჩებიან.

მამაკაცთა გამორიცხვა თავმდგმურად დარჩენის უფლების მქონე პირთაგან, იმ სავარაუდო რისკის არსებობის გამო, რომ მამაკაცი შესაძლოა ნასვამი მივიდეს საავადმყოფოში, წარმოაჩენს არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას მამაკაცების ცხოვრების წესსა და ოჯახურ ცხოვრებაში მათ მონაწილეობაზე.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მსგავსი სტერეოტიპები უზღუდავს მამაკაცებს შესაძლებლობას შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი შვილის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და მეუღლეებთან ერთად გაინაწილონ მშობელზე დაკისრებული ტვირთი. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს მამის როლის დაკნინება ბავშვზე

[8] Hoffman v Austria, Application no.:12875/87, 23/06/1993, § 33; Salguero Da Silva v Portugal, Application no.: 33290/96, 21/03/2000, § 28, 35;

[9] ECtHR, Abdulaziz, Cabales and Balkandali v UK, Application no.: 9214/80; 9473/81; 9474/81, 28/05/1985, §78;

ზრუნვასა და აღზრდაში და მათ მიეცეთ შესაძლებლობა სტიგმებისგან თავისუფალ გარემოში ქალთა თანაბრად ისარგებლონ მშობლის უფლებებით და იტვირთონ მათზე დაკისრებული მოვალეობები.

ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ ევროპული საზოგადოება ბავშვის გაზრდაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობისკენ იხრება და აღიარებს მამაკაცის განსაკუთრებულ როლს ბავშვზე ზრუნვაში.[10] გენდერული სტერეოტიპები, რომელიც ადგენს, რომ ქალი წარმოადგენს ბავშვზე მზრუნველ მთავარ პიროვნებას, არ შეიძლება საკმარის საფუძვლად იქნეს მიჩნეული სქესის ნიშნით განსხვავებისას.[11]

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საავადმყოფოში თავმდგმურად დასაშვებ პირთა მიმართ ერთიანი მიდგომა არ არსებობს და განყოფილების გამგის კომპეტენციაში შედის იმის გადაწყვეტა თუ ვის მისცემს პაციენტთან დარჩენის უფლებას. აღნიშნულის გამო, ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ უზრუნველყოს პაციენტთა და მათ მშობელთა/მეურვეთა/წარმომადგენელთა მიმართ სათანადო, თანასწორი მოპყრობა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საავადმყოფოს მიერ გამოყენებული საშუალება, რაც გამოიხატა მომჩივნისათვის თავმდგმურად დარჩენაზე უარის თქმაში, ეფუძნებოდა მამაკაცთა მიმართ არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას და არ იყო მიზნის მიღწევის გონივრული საშუალება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ თბილისის ბავშვთა ინფექციურმა კლინიკურმა საავადმყოფომ ჩაიდინა პირდაპირი დისკრიმინაცია მომჩივნის მიმართ, მისი სქესის გამო.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს, რომ დასახოს ერთიანი სამოქმედო პოლიტიკა და შეიმუშავოს შიდა დოკუმენტი (დებულება/რეგულაციები/წესები/პრინციპები), რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საავადმყოფოს ყველა განყოფილებაში თავდგომასთან დაკავშირებით პაციენტთა და მშობელთა/მეურვეთა/წარმომადგენელთა მიმართ თანასწორი მოპყრობა.

---

[10] Konstantin Markin v Russia, Application no.: 300/78, 22/03/2012, §140;

[11] იქვე, §143;

გთხოვთ, მაცნობოთ თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

პატივისცემით,

უჩა ნანუაშვილი.